სიტყვები მაგიდაზე ან იატაკზე

მოსწავლეები ამოიკითხავენ ბარათებზე დაწერილ სიტყვებს და მათი გამოყენებით ადგენენ წინადადებებს.

კლასი: I - III

მუშაობის ფორმა: მთელი კლასი, მცირე ჯგუფები.

რესურსი: სიტყვის ბარათები.

მსვლელობის ვარიანტები

- **სიტყვების ბარათების ამოკითხვა.** მასწავლებელი პირქვე გადაბრუნებულ სიტყვის ბარათებს აწყობს მაგიდაზე ან იატაკზე. მის მიერ მიცემულ ნიშანზე მოსწავლეები მორიგეობით აიღებენ თითო ბარათს, აჩვენებენ კლასს და ხმამაღლა წაიკითხავენ.
- **სიტყვის ბარათებით წინადადებების შედგენა ჯგუფებში.** მასწავლებელი ყოფს მოსწავლეებს მცირე ჯგუფებად. შემდეგ მაგიდაზე ან იატაკზე განათავსებს ისეთ ბარათებს, რომლებზე მოცემული სიტყვებისგანაც შესაძლებელია წინადადების/ ლექსის ტაეპის/აფორიზმის/ანდაზის და ა.შ. აწყობა. მასწავლებლის მიერ დანიშნულ დროში მოსწავლეები იღებენ ბარათებს, აჩვენებენ კლასს, ამოიკითხავენ სიტყვას, შემდეგ დგებიან იმ თანმიმდევრობით, რომ მათი სიტყვებისგან შედგეს წინადადება, რომელსაც ხმამაღლა წაუკითხავენ კლასს.
- **სიტყვის ბარათებით წინადადებების შედგენა ინდივიდუალურად.** მოსწავლე იღებს სიტყვის ბარათს და სიტყვის ამოკითხვის შემდეგ ინდივიდუალურად ადგენს წინადადებას ამ სიტყვის გამოყენებით.
- **სიტყვების დაჯგუფება რაიმე ნიშნით.** სიტყვების ამოკითხვის შემდეგ მოსწავლეები დაჯგუფდებიან/დაწყვილდებიან სხვადასხვა პრინციპით (ერთსა და იმავე ასოზე დაწყებული სიტყვები, ცხოველების სახელები, მცენარეების სახელები, სინონიმები, ანტონიმები და ა.შ.).